N 96 2016 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის“ 39^1 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:**

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის სამსახურის უფროსი;

გ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი;

დ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის განყოფილების უფროსი;

ე) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის განყოფილების მთავარი ბუღალტერი (III კატეგორია);

ბ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის/ დეპარტამენტის განყოფილების/სამსახურის სპეციალისტი (III კატეგორია);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის /დეპარტამენტის განყოფილების/სამსახურის სპეციალისტი (II კატეგორია);

ბ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის/ დეპარტამენტის განყოფილების/სამსახურის სპეციალისტი (I კატეგორია);

გ) ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტი;

დ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე;

ე) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე;

ვ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის თანაშემწე;

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი;

თ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დეპარტამენტის განყოფილების დამხმარე მოსამსახურე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**